ილია ნესტორის-ძე ვეკუა
(1907-1977)

70 წლის ასაკში, ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ, გარდაიცვალა საბჭოთა მათემატიკოსი ილია ნესტორის-ძე ვეკუა. მის სახელს უკავშირდება ანალიზურ კოეფიციენტებიანი ელიფსური ტიპის კერძოწარმოებულებიან წრფივ დიფერენციალურ განტოლებათა თეორიის შექმნა. ამ თეორიით ი. ვეკუამ გააგრძელა მისი მასწავლებლისა და მეგობრის ნიკო მუსხელიშვილის მიერ დაწყებული საქმიანობა.

ელიფსური ტიპის კერძოწარმოებულებიან წრფივ დიფერენციალურ განტოლებათა თეორია ი. ვეკუამ ორი მიმართულებით განავითარა, პირველი – შტეფან ბერგმანის შრომის მსგავსად, გულისხმობდა მკაფიოდ გამოეხატა ელიფსურ განტოლებების ამოხსნის ფორმულები რეალურ ანალიზურ კოეფიციენტებთან მიმართებაში. ეს ფორმულები მან გამოიყენა სასაზღვრო ამოცანების შესასწავლად და გახდა წინამორბედი “Atiyah-Singer” ინდექს თეორემის ჩამოყალიბებისა.

მეორე მიმართულება ეხებოდა ორი პირველი რიგის ელიფსური განტოლებების სისტემის თვისებებს, რომლებიც მოცემული იყო განზოგადოებული “Cauchy-Riemann” განტოლებების სახით. იმ დროისათვის კოეფიციენტების ანალიზურობა განზოგადოებულ კომპლექსურ თეორიაში იკვეთებოდა. მიუხედავად იმისა რომ ი. ვეკუას „განზოგადოებული ანალიზური ფუნქციები“ ძირეულად იგივე იყო რაც ჩემი „ფსევდოანალიზური ფუნქციები“, ჩვენი მოტივაცია და მიზნები მაინც განსხვავდებოდა. ი. ვეკუა იყენებდა ამ თეორიას დრეკად გარსთა თეორიის შესაქმნელად, რათა ეჩვენებინა ზედაპირების უსასრულოდ მცირე სიდიდეთა დეფორმაცია სამ განზომილებაში.

ამის გარდა ის ბევრ სხვა საკითხებზეც მუშაობდა. იგი იყო პირველი ვინც ბელტრამის განტოლებების ამოსახსნელად გამოიყენა ქალდერონ ზიგმუნდის არათვისობრიობა სინგულარული ინტეგრალებისათვის.

ილია ვეკუა იყო საბჭოთა მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე; სსრკ მეცნიერებათა აკადემიის და პრეზიდიუმის წევრი; საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი; ნოვოსიბირსკის უნივერსიტეტის პირველი პრეზიდენტი და მოგვიანებით თბილისის უნივერსიტეტის ხელმძღვანელი. იგი არჩეული იყო სსრკ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრად.

მის პიროვნებაში არ იგრძნობოდა ოფიციალურობა და სიმკაცრე. ის იყო ფიზიკურად წარმოსადეგი, ხმის მაღალი ტემბრით, გამორჩეული მეგობრული ურთიერთობებით და სულიერი თვისებებით დაჯილდოვებული ადამიანი. ხშირად აღტაცებას და გაკვირვებას იწვევდა მისი მტკიცე, ვაჟკაცური და თავშეკავებული ქცევა. მას ხიბლავდა ქართული ტრადიციული სუფრა და საუბრები.

ჩვენ პირველად ერთმანეთს შევხვდით 1958 წელს ედინბურგის მათემატიკოსთა საერთაშორისო კონგრესზე. ეს იყო პირველი შემთხვევა, როდესაც საბჭოთა მათემატიკოსების ჯგუფი დასავლეთში ჩავიდა. არც ამერკელმა და არც საბჭოთა მათემატიკოსებმა არ იცოდნენ როგორ დაემყარებინათ ერთმანეთთან ურთიერთობა. ეს პრობლემა ვეკუამ გადაჭრა და ყველა თავის სასტუმრო ოთახში მიიპატიჟა.

ვეკუას ოპტიმიზმი არ გამორიცხავდა ცხოვრებისეულ ტრაგედიებს. როდესაც იგი აღმოჩნდა ბროდვეის წარმოდგენაზე, დეტალებმა ტომას მორის გარდაცვალების შესახებ ძირეულად შეძრა. მე ეს საღამო გამახსენდა მაშინ, როდესაც ვკითხულობდი სტატიას ილია ნესტორის-ძე ვეკუას დაბადების 70 წლისთავთან დაკავშირებით.

ლიპმან ბერსი
კოლუმბიის უნივერსიტეტი
ნიუ იორკი. აშშ.